

მოკლე მიმოხილვა

ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში (WILD)

ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის, კარგი მმართველობისა და ინკლუზიური განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მასშტაბით, ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში და ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში - იქნება ეს ამომრჩევლების, კანდიდატების, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობების დონეზე. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ქალებს თანაბარი უფლებები და სათანადო კვალიფიკაცია გააჩნიათ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებასა და მმართველობის პროცესებში.

ფაქტები და მონაცემები საქართველოს შესახებ

- საქართველოში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილები გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, იქნება ეს არჩეული თანამდებობა თუ საჯარო სამსახური როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეებზე;
- 2023 წლის მდგომარეობით, ქალები პარლამენტის მხოლოდ 18.8 პროცენტს შეადგენენ (143 პარლამენტარიდან 27 ქალია), რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია;
- მინისტრის თანამდებობების მხოლოდ 15.4 პროცენტი უკავიათ ქალებს - 13 მინისტრს შორის მხოლოდ 2 ქალია (პრემიერ მინისტრის ჩათვლით);
- ქალები საჯარო მოხელეების 30 პროცენტს შეადგენენ, ხოლო პირველი რანგის მოხელეებს შორის მხოლოდ 35 პროცენტია ქალი. გენდერული სხვაობის მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია მაღალი თანამდებობის პოზიციებზე - სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში უწყების ხელმძღვანელისა და ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობებზე მხოლოდ 13 პროცენტია ქალი.
- 2023 წლის მდგომარეობით, ქალების წილი ადგილობრივ საკრებულოში 31.5 პროცენტია. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერად მხოლოდ სამი ქალი (5 პროცენტი) აირჩიეს.
- ბოლო დროის წარმომადგენლობითი არჩევნების პირობებში, ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში ქალების წილის ზრდა დროებითი სპეციალური ზომების (გენდერული კვოტების) შემოღებას უკავშირდება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსით. თუმცა, ქალთა მონაწილეობა ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში გაცილებით ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 31 პროცენტიან საშუალო მაჩვენებელს და, ასევე, ქალთა სტატუსის კომისიის მიერ დადგენილ მაჩვენებელს - 50/50.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქუჩა 87, ოფისი 4, 0179 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04 (995 32) 222 08 70
www.unwomen.org
georgia.unwomen.org

UN WOMEN

პროექტის შესახებ

გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან (SDC) მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, ოთხწლიან პროექტს ახორციელებს სახელწოდებით „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ (WILD). პროექტი 2023 წლის აპრილში დაიწყო და მიზნად ისახავს საქართველოში გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის, კარგი მმართველობისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის გზით. პროექტის მიზანია ქალებისა და გოგოების თანაბარი ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და გენდერულად მგრძნობიარე მმართველობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი 1: ქალების და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობისა და ზეგავლენის გაძლიერება პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ყველა დონეზე.

აღნიშნული ძალისხმევის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაცია მუშაობს ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, რათა მათ შეძლონ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა და ადვოკატირება გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური განვითარების დღის წესრიგისთვის. პროექტი, ასევე, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მოსახლეობის მგრძნობელობის გაზრდას, მათ შორის, მედიასთან და სათემო ლიდერებთან მუშაობის გზით.

მოსალოდნელი შედეგი 2: გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკების გაძლიერებაზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა ლიდერობის ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული ძალისხმევის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაცია მუშაობს ეროვნულ პარტნიორებთან იმისათვის, რომ ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკის დოკუმენტები და პრაქტიკები იყოს გენდერულად მგრძნობიარე და შეესაბამებოდეს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების სფეროებში. პროექტი, ასევე, ხელს უწყობს გენდერული მონაცემების სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების კუთხით პროგრესის რეგულარულად გასაზომად და შესაფასებლად.

პროექტის **მთავარი პარტნიორები** არიან: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი კომისია, საჯარო სამსახურის ბიურო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ადგილობრივ დონეზე პროექტი ქვეყნის 64-ვე მუნიციპალიტეტთან მუშაობს და ამ მიმართულებით თანამშრომლობს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან. პროექტის **არასამთავრობო პარტნიორები** იქნებიან: ქალთა ორგანიზაციები, კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სათემო ორგანიზაციები, რომლებიც გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით მუშაობენ; ასევე, ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში კარგი მმართველობისა და პოლიტიკური პარტიების საკითხებზე მუშაობენ.

პროექტის **პირდაპირი ბენეფიციარები** არიან: ქალები და ქალთა ორგანიზაციები, ექსპერტები და აქტივისტები, რომლებიც პროექტის ფარგლებში გაიღრმავებენ ცოდნასა და ადვოკატირების უნარებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე. **პირდაპირი ბენეფიციარების** კიდევ ერთ ჯგუფს წარმოადგენს **საჯარო მოხელეები** და **პოლიტიკური პარტიების წევრები** რომლებიც პროექტის ფარგლებში გაიღრმავებენ უნარებსა და შესაძლებლობებს გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე. პროექტის **საბოლოო ბენეფიციარები** არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში მიიღებენ სარგებელს თანასწორი, გენდერულად მგძნობიარე და ინკლუზიური საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისგან, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეებზე.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ